აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 19 | 5 აგვისტო 2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ““ (09-01-08/97, 30.07.2020) I მოსმენა

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე	*უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

30.07.2020 წელი	წამყვანი კომიტეტი - 14.08.2020 სხვა კომიტეტები -12.08.2020	რიგგარეშე სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

05/08/2020
N 1313

1313-09-02-11-3-202008051143

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო
წოდებების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონის პროექტის თაობაზე

(N09-01-08/97, 30.07.2020 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გელა ღოღობერიძე

განყოფილების უფროსი

იურიდიული განყოფილება

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ".

უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ თხოვნით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ კანონის პროექტზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მისი უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საშემოდგომო სესიამდე განხილვის თაობაზე.

გთხოვთ, კანონის პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -9- ფურცელი

პატივისცემით,

დავით კაბაიძე

01-01-08/97
30 07 2020
10 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ

ეს კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში.

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენისა და მინიჭების საფუძვლებისა და წესის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სახეობებისა და შესაბამისი ერთდროული ფულადი გასაცემლების ოდენობების განსაზღვრა.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სახეობები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოების სახეობებია:

ა) ტბელ აბუსერისძის ორდენი - I ხარისხის, II ხარისხის, III ხარისხის;

ბ) ღირსების მედალი.

2. საპატიო წოდება პირს შეიძლება მიენიჭოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭების პირობები

1. ტბელ აბუსერისძის ორდენით ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობაში – მმართველობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ან ლიტერატურის დარგის განვითარებაში – შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სპორტული მიღწევისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის. ტბელ აბუსერისძის ორდენი სამი ხარისხისაა:

ა) ტბელ აბუსერისძის III ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი გამორჩეული საქმიანობისათვის;

ბ) ტბელ აბუსერისძის II ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის ან სხვა დარგში გამოჩენილი მოღვაწეობისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში გამორჩეული

მიღწევისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გაწეული აღმატებული ღვაწლისთვის;

გ) ტბელ აბუსერისძის I ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

2. ღირსების მედლით ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ღირსეული სამსახურისათვის.

3. საპატიო წოდება შეიძლება მიენიჭოს განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ხელოვნების, სპორტის ან საზოგადოებივი ცხოვრების სხვა სფეროში მოღვაწე პირს შესაბამისი სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

4. ამ მუხლით განსაზღვრული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით კალენდარული წლის განმავლობაში შეიძლება დაჯილდოვდეს არაუმეტეს 3-3 პირი;

5. საპატიო წოდება შეიძლება კალენდარული წლის განმავლობაში შეიძლება მიენიჭოს არაუმეტეს 6 პირს.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოების და საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის ნიმუშების დამტკიცების წესი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოების და საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის ნიმუშებს ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭების წესი

1. პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი ჯილდოვდება და პირს საპატიო წოდება ენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამ კანონით დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად.

2. ამ კანონით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი ჯილდოვდება და საპატიო წოდება ენიჭება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება ამ კანონით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოვდეს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი და საპატიო წოდება მიენიჭოს, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

3. პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი აჯილდოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე. პირს საპატიო წოდებას ანიჭებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის, მუნიციპალიტეტის მერის ან/და სხვა თანამდებობის პირის წარდგინების საფუძველზე.

4. პირს, რომელიც ჯილდოვდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდო, ხოლო

პირს, რომელსაც ენიჭება საპატიო წოდება გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

5. დაჯილდოებულ პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და შესაბამის მოწმობას, ასევე საპატიო წოდებამინიჭებულ პირს საპატიო წოდებას და სამკერდე ნიშანს საზეიმოდ გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მისივე გადაწყვეტილების (რეზოლუციის) საფუძველზე, ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი.

6. დაჯილდოებული პირი ახალი დამსახურებისათვის შეიძლება კვლავ დაჯილდოვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი, ასევე საპატიო წოდებამინიჭებულ პირს ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ მიენიჭოს საპატიო წოდება, თუ კანონმდებლობით და სხვა სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. პირის გარდაცვალების შემდეგ მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოებისა და მისთვის საპატიო წოდების მინიჭების შემთხვევაში ერთდროული ფულადი გასაცემელი ეძლევა ამ პირის მემკვიდრე (არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოებასა და საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებული საპროცედურო და საორგანიზაციო საკითხები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოსა და შესაბამისი მოწმობის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო მოწმობისა და სამკერდე ნიშნის აღწერილობებს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის დუბლიკატების გაცემის წესი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოსა და საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის დუბლიკატები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელ პირს არ შეეძლო მათი დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილება.

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ოდენობები

1. პირს ამ კანონით გათვალისწინებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოსთან და საპატიო წოდებასთან ერთად ეძლევა ერთდროული ფულადი გასაცემელი შემდეგი ოდენობით:

ა) ტბელ აბუსერისძის I ხარისხის ორდენისათვის - 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;

ბ) ტბელ აბუსერისძის II ხარისხის ორდენისათვის - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

გ) ტბელ აბუსერისძის III ხარისხის ორდენისათვის - 3 000 (სამი ათასი) ლარი;

დ) ღირსების მედლისათვის - 2 000 (ორი ათასი) ლარი;

ე) საპატიო წოდებისთვის - 1000 (ერთი ათასი) ლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და საპატიო წოდებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები გაიცემა შესაბამისი წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით ამ მიზნით განსაზღვრული ასიგნებებიდან.

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს ჩამორთმევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს დაჯილდოებული პირის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს შეურაცმყოფელი საქციელის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოზე წარმდგენი თანამდებობის პირის შუამდგომლობით.

მუხლი 9. კანონის ამოქმედებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები

2020 წლის 1 სექტემბრამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა და ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 10. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-9 მუხლისა, ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.
2. ამ კანონის მე-9 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2020 წლის
N

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი. ამასთან აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ცვლილება განიცადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამაც, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. აღნიშნული კონსტიტუციური კანონი დამტკიცდა საქართველოს 2018 წლის 4 მაისის ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას და უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ახალი საკანონმდებლო რეალობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნისთვის შემუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანია:

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, საკანონმდებლო აქტით დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სახეობები და მათი მინიჭების წესი, რათა საკანონმდებლო დონეზე იქნეს მოწესრიგებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ზემოაღნიშნული საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება პრეამბულისა და 10 მუხლისაგან.

პრეამბულის თანახმად, კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში.

კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენისა და მინიჭების საფუძვლებისა და წესის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სახეობებისა და შესაბამისი ერთდროული ფულადი გასაცემლების ოდენობების განსაზღვრა.

კანონპროექტის მე-2 მუხლი ეთმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სახეობებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოების სახეობებია: ტბელ აბუსერისძის ორდენი - I ხარისხის, II ხარისხის, III ხარისხის და ღირსების მედალი. რაც შეეხება საპატიო წოდებას, იგი პირს შეიძლება მიენიჭოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

კანონპროექტის მე-3 მუხლში მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭების პირობები. კერძოდ,

ტბელ აბუსერისძის ორდენით ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობაში – მმართველობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, განათლების, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ან ლიტერატურის დარგის განვითარებაში – შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სპორტული მიღწევისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის. ტბელ აბუსერისძის ორდენი სამი ხარისხისაა:

ა) ტბელ აბუსერისძის III ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი გამორჩეულისაქმიანობისათვის;

ბ) ტბელ აბუსერისძის სახელობის II ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის ან სხვა დარგში გამოჩენილი მოღვაწეობისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში გამორჩეული მიღწევისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გაწეული აღმატებული ღვაწლისთვის;

გ) ტბელ აბუსერისძის I ხარისხის ორდენით ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ღირსების მედლით კი ჯილდოვდება პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ღირსეული სამსახურისათვის.

ამავე მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდება შეიძლება მიენიჭოს განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ხელოვნების, სპორტის ან საზოგადოებივი ცხოვრების სხვა სფეროში მოღვაწე პირს შესაბამისი სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მე-3 მუხლით ასევე განსაზღვრულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით კალენდარული წლის განმავლობაში შეიძლება დაჯილდოვდეს არაუმეტეს 3-3 პირი, ხოლო საპატიო წოდება კალენდარული წლის განმავლობაში შეიძლება მიენიჭოს არაუმეტეს 6 პირს.

კანონპროექტის მე-4 მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯილდოების და საპატიო წოდებების სამკერდე ნიშნის ნიმუშებს ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

კანონპროექტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდებების მინიჭების წესი, რომლის თანახმადაც:

პირი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი ჯილდოვდება და პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდება ენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად.

კანონით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი ჯილდოვდება და საპატიო წოდება ენიჭება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება კანონით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოვდეს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი და საპატიო წოდება მიენიჭოს, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი აჯილდოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე. საპატიო წოდებას ანიჭებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის, მუნიციპალიტეტის მერის ან/და სხვა თანამდებობის პირის წარდგინების საფუძველზე.

პირს, რომელიც ჯილდოვდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდო, ხოლო პირს, რომელსაც ენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდება გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

დაჯილდოებულ პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და შესაბამის მოწმობას, ასევე საპატიო წოდებამინიჭებულ პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდებას და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან მისივე გადაწყვეტილების (რეზოლუციის) საფუძველზე, ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი.

დაჯილდოებული პირი ახალი დამსახურებისათვის შეიძლება კვლავ დაჯილდოვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი, ასევე საპატიო წოდებამინიჭებულ პირს ახალი დამსახურების გამო შეიძლება კვლავ მიენიჭოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდება, თუ კანონმდებლობით და სხვა სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პირის გარდაცვალების შემდეგ მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოებისა და მისთვის საპატიო წოდების მინიჭების შემთხვევაში ერთდროული ფულადი გასაცემელი ეძლევა ამ პირის მემკვიდრე (არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოთი დაჯილდოებასა და საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტასთან

დაკავშირებული საპროცედურო და საორგანიზაციო საკითხები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოსა და შესაბამისი მოწმობის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო მოწმობისა და სამკერდე ნიშნის აღწერილობებს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

კანონპროექტის მე-6 მუხლით განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის დუბლიკატების გაცემის წესი.

კანონპროექტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ოდენობები, რომლის შესაბამისად, პირს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოსთან და საპატიო წოდებასთან ერთად ეძლევა ერთდროული ფულადი გასაცემელი შემდეგი ოდენობით:

ა) ტბელ აბუსერისძის I ხარისხის ორდენისათვის - 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;

ბ) ტბელ აბუსერისძის II ხარისხის ორდენისათვის - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

გ) ტბელ აბუსერისძის III ხარისხის ორდენისათვის - 3 000 (სამი ათასი) ლარი;

დ) ღირსების მედლისათვის - 2 000 (ორი ათასი) ლარი;

ე) საპატიო წოდებისთვის - 1000 (ერთი ათასი) ლარი.

ამავე მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს და საპატიო წოდებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები გაიცემა შესაბამისი წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით ამ მიზნით განსაზღვრული ასიგნებებიდან.

კანონპროექტის მე-8 მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს დაჯილდოებული პირის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოს შეურაცმყოფელი საქციელის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოზე წარმდგენი თანამდებობის პირის/ორგანოს შუამდგომლობით.

მე-9 და მე-10 მუხლები ეთმობა კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებსა და კანონის ამოქმედების საკითხებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი გავლენას მოახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, კანონპროექტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოების და საპატიო წოდებების მინიჭებისათვის დადგენილი ერთდროული ფილადი გასაცლემისათვის

კალენდარული წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შესაძლოა გაიზარდოს არაუმეტეს 48 000 (ორმოცდაორი ათასი) ლარით. ამასთან გარკვეული ხარჯები იქნება საჭირო ჯილდოების, სამკერდე ნიშნებისა და შესაბამისი მოწმობების დასამზადებლად.

ზ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დადებით ფინანსურ შედეგებს იქონიებს იმ პირთათვის, ვისაც კანონის შესაბამისად მიენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდო ან/და საპატიო წოდება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.